



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 232

2016 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის ფარგლებში
წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ

„სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N58/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის N200 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის 2016 წლის 28 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1421044) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას პროექტების ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი